გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 36

2017 წლის 21 დეკემბერი
ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური პროექტების თანადაფინანსების პროგრამის დამტკიცების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ათეულობით არასამთავრობო და საზიუჯეტო ორგანიზაცია მუშაობს, რომელთა საქმიანობაც მიმართულია სოციალური სახის პროექტების განხორციელებისკენ, იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყონ მუნიციპალიტეტში არსებული სხვადასხვა პრობლემების გადაჭრას და შემდგომში ამ პრობლემების წარმოქმნის თავიდან არიდებას. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ საკუთარი საქმიანობის დაგეგმვა და განხორციელება ძირითადად დაკავშირებულია საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ კონკურსებთან და მათი დაფინანსების წყარო ამ კონკურსში გამარჯვების შედეგად მოპოვებული თანხებია.

სწორედ ამიტომ, მიზანშეწონილია არასამთავრობო და საზიუჯეტო ორგანიზაციების ხელშეწყობის მიზნით, თანადაფინანსება გაეწიოთ ისეთ ორგანიზაციებს, რომლებიც თავისი პროექტების განხორციელებით ხელს უწყობენ გორის მუნიციპალიტეტის ფარგლებში სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, მე-19 მუხლის „ზ" პუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს „გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური პროექტების თანადაფინანსების პროგრამა" დანართი №1-ის (თან ერთვის 2 ფურცლად) შესაბამისად.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №9).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

დანართი N1

გორის მუნიციპალიტეტის მერიის

სოციალური პროექტების თანადაფინანსების

პროგრამა

1. პროგრამის სახელწოდებაა გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური პროექტების თანადაფინანსების პროგრამა".
2. პროგრამის განხორციელების არეალია გორის მუნიციპალიტეტი
3. პროგრამის დაწყების თარიღია 2018 წლის 1 იანვარი და დამთავრების თარიღია 2018 წლის 31 დეკემბერი.
4. პროგრამის ორგანიზაციული კოდი საბიუჯეტო კლასიფიკაციით - 05 05 13
5. პროგრამის დაფინანსების ძირითადი წყაროა გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
6. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელია გორის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალური და ჯანდაცვის სამსახური.
7. პრობლემის აღწერა, მისი აქტუალობის დასაბუთება და განხორციელების პრინციპები:

გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ათეულობით არასამთავრობო და საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაცია მუშაობს, რომელთა საქმიანობა მიმართულია იმაზე, რომ სოციალური სახის პროექტების განხორციელებით ხელი შეუწყონ მუნიციპალიტეტში არსებული სხვადასხვა პრობლემის გადაჭრას და შექმნან მექანიზმები შემდგომში ამ პრობლემების თავიდან ასაცილებლად.

არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ საკუთარი საქმიანობის დაგეგმვა და განხორციელება ძირითადად დაკავშირებულია საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ კონკურსებთან და მათი დაფინანსების ძირითადი წყარო ამ კონკურსში გამარჯვების შედეგად მოპოვებული თანხებია. ხოლო საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციები, როგორებიცაა: ბაღები, ბიბლიოთეკები ან სკოლები, დამატებითი სახსრების მოძიების მიზნით მონაწილეობას იღებენ მსგავს კონკურსებში და საერთაშორისო და ადგილობრივი ფონდების დაფინანსებით სხვადასხვა აქტივობას ახორციელებენ.

გორის მუნიციპალიტეტის მერია დადებითად აფასებს ამ ორგანიზაციების მიერ გამოჩენილ აქტიურობას და მათი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით აცხადებს მზადყოფნას გარკვეული თანადაფინანსებით წაახალისოს ყველა ის ქართული არასამთავრობო და საბიუჯეტო ორგანიზაცია, რომელიც თავისი პროექტის განხორციელებით ხელს შეუწყობს გორის მუნიციპალიტეტის ფარგლებში სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

8. წარმოდგენილი პროგრამის თანადაფინანსება განხორციელდება ამ პროგრამით გათვალისწინებული თანადაფინანსების წესის შესაბამისად.
9. პროგრამის მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები

ა) პროგრამის მიზნებია:

ა.ა) გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებული პროექტების შედეგად სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

ა.ბ) სოციალურად დაუცველი ოჯახების და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ეკონომიური გაძლიერება, პროფესიული გადამზადების ხელშეწყობა, შობადობის წახალისება და მათი ადაპტაცია არსებულ გარემოში.

ა.გ) ქართული არასამთავრობო და საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების მუშაობის ხელშეწყობა

ბ) პროგრამის მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორია ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელებული პროექტების რაოდენობა.

10. პროგრამის ამოცანებია:
ა) ინფორმაციის გავრცელება პროგრამის შესახებ
ბ) პროექტების განხილვა
გ) პროექტების თანადაფინანსება

11. პროგრამით მოსარგებლე პირთა (მომხმარებელთა) კატეგორია და თანადაფინანსების ფორმა

ა) პროგრამით მოსარგებლე პირთა (მომხმარებელთა) კატეგორიაა ის ორგანიზაცია (საბიუჯეტო (საბავშო ბაგა-ბაღები, ბიბლიოთეკები, სკოლები და ა.შ.), არასამთავრობო, სათემო, არარეგისტრირებული კავშირი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები და სხვა) (შემდგომში ორგანიზაცია), რომელიც საკუთარი სახსრებით ან დონორი ორგანიზაციებიდან გრანტის მიღების გზით მოახდენს წილობრივ თანადაფინანსებას და პროექტის განხორციელებით ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ბ) პროგრამით გათვალისწინებული დახმარება (მომსახურება) ხორციელდება თანადაფინანსების სახით.

12. დამატებითი ინფორმაცია

ა) პროგრამის ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტიდან თანადაფინანსებას მიიღებს ყველა ის ორგანიზაცია (საბიუჯეტო (საბავშო ბაგა-ბაღები, ბიბლიოთეკები, სკოლები და ა.შ.), არასამთავრობო, სათემო, არარეგისტრირებული კავშირი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები და სხვა) (შემდგომში ორგანიზაცია), რომელიც საკუთარი სახსრებით ან დონორი ორგანიზაციებიდან გრანტის მიღების გზით მოახდენს წილობრივ თანადაფინანსებას და პროექტის განხორციელებით ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ბ) დასაშვებია მუნიციპალიტეტიდან თანადაფინანსების მიმღებმა ორგანიზაციამ თვითონაც მოახდინოს პროექტის განხორციელებაში მონაწილეობა მატერიალური, ტექნიკური, შრომითი ან ადამიანური რესურსით.

გ) თანადაფინანსების გაცემა ხდება ორგანიზაციასა და მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის და შესაბამისი თანადაფინანსების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ.

დ) ორგანიზაციიდან წარმოდგენილი განცხადება და პროექტის ხარჯთაღრიცხვა განიხილება გორის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მიერ და მოწონების შემთხვევაში გორის მუნიციპალიტეტის მერია გასცემს ადმინისტრაციულ დაპირებას თანადაფინანსების მუნიციპალიტეტიდან განხორციელების შესახებ.

ე) ანაზღაურება მოხდება ორგანიზაციის მიერ სამუშაოს შესრულების ამსახველი დოკუმენტაციის (მაგ.: საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, სასაქონლო ზედნადები, შესაბამისი ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი და ა.შ) წარმოდგენის შემთხვევაში.